

ქ.თბილისი

2017 წლის 1 ივნისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 1 ივნისს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, ამა წლის 28 მაისს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის კალენდარულ მატჩზე თბ „ივერია“-ს წინააღმდეგ, ბოლნისის „ყოჩები“-ს არგამოცხადების შესახებ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ბოლნისის „ყოჩები“ ა/წლის 28 მაისს არ გამოცხადდა სათამაშოდ თბ „ივერია“-ს წინააღმდეგ.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.11, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი N 1-ის 1.11 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ბოლნისის „ყოჩებს“ ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს ერთი საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500 (ხუთასი) ლარით., ხოლო მოწინააღმდეგე გუნდს ჩაეთვალოს ბონუსქულიანი მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.11 პუნქტი და კლუბ ბოლნისის „ყოჩებს“, ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 5 (ხუთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/